

ქართველი ახალგაზრდა გოგოების თვითობის ფორმირება სოციალურ
ქსელ ინსტაგრამზე

ლიკა ნოზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო რჩეულიშვილი, მოწვეული პედაგოგი, სოციოლოგიის
მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიკა ნოზაძე

26.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ქართველი ახალგაზრდა გოგოების თვითობის კონსტრუირებას სოციალურ ქსელ ინსტაგრამში. სოციალური ქსელები მომხმარებლებს თვითრეპრეზენტაციის დროს დიდ თავისუფლებას ანიჭებს. ონლაინ კომუნიკაციების განვითარებით ადამიანებმა დაიწყეს ვირტუალური თვითობების მართვა. სოციალური ქსელები საშუალებას აძლევს ინდივიდებს ჰქონდეთ კონტროლი და შეიტანონ სხვადასხვა სახის ცვლილებები მათ ონლაინ თვითობაში.

კვლევის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ როგორ ხდება თვითობის კონსტრუირება და მასზე ზრუნვა ინსტაგრამში. კვლევის თვისებრივი მეთოდების, სიღრმისეული ინტერვიუებისა და სურათების ვიზუალური ანალიზის გზით შევეცადეთ შეგვესწავლა ქართველი ახალგაზრდა გოგოების თვითობების სიმრავლე ინსტაგრამზე. კვლევის განმავლობაში შევისწავლეთ, თუ რა ტიპის თვითობებს აწარმოებენ ისინი ინსტაგრამზე, რა პრაქტიკებსა თუ ხერხებს იყენებენ ამ თვითობების ასაწყობად და როგორ ინარჩუნებენ ბუნებრიობას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რესპონდენტები ზრუნავენ ინსტაგრამის გვერდზე ისე, როგორც საკუთარ თვითობაზე და მუდმივი მეტავალყურების ქვეშ ჰყავთ; ქმნიან ჰარმონიულობის და ერთიანობის განცდას მათ პროფილებზე, ცდილობენ იყვნენ მრავალფეროვნები და აქტიურად წარმოაჩინენ სხვადასხვა სახის თვითობებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თვითობა, ინსტაგრამი, თვითრეპრეზენტაცია

Abstract

After the development of Social Networking Sites people started to manage impressions while constructing virtual identities. Social networks give people the right to control and manage their online identities and in general give freedom in presentation of the self. Following Master's thesis studies the construction of identity within Georgian young girls while using social networking application Instagram.

The purpose of this thesis was to explore how one does construct and take care of online identity on Instagram. The research conducted was qualitative with In-depth interviewing technique and visual narrative analysis. During the research we tried to examine the plurality of identities played by Georgian young girls. In addition which type of techniques do they use to construct them and how do they keep everything as natural as possible on-line.

As a result of our research we can confirm that our respondents take care of their online identities the way they do to the real ones. They have their online identities under constant surveillance. They do their best to harmonize and unify their identities on Instagram Feed.

Key words: Identity, Instagram, Representation

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ქ-ნ ნინო რჩელიშვილს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ყველა ეტაპზე გაწეული დახმარებისთვის. რომ არა მისი დაინტერესება და ჩართულობა ჩემი კვლევითი ინტერესისადმი, წარმოუდგენელი იქნებოდა ნაშრომის შესრულება. მის მიერ მოწოდებული მასალა და კვლევის დროს აქტიური პროფესიული ჩართულობა დამეხმარა ჩემი იდეების კონსტრუირებაში.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს თანამშრომლებსა და მეგობრებს, რომლებიც მუდმივად მგულშემატკივრობდნენ.